ლენტეხი news

№4. მაისი, 2024 წელი. www.lentekhinews.ge გამოდის თვეში ერთხელ • ვრცელდება უფასოდ

ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღე ლენტეხში

ბოლო ათი წელია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით, ჩვენს ქვეყანაში ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე აღინიშნება.

ოჯახი და ტრადიციების პატივისცემა ის ფუნდამენტური ფასეულობებია, რომელთა დაცვასა და სიწმინდეზე დგას ღირსეული ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის სიმტკიცე. ნიშანდობლივია, რომ ოჯახის სიწმინდის დაცვა როგორც ქრისტიანების, ისე სხვა სარწმუნოების მიმდევართათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ჯანსაღი ოჯახი არის ძლიერი და ტრადიციების ერთგული სახელმწიფოს სახე და საფუძველი.

წელსაც, ტრადიციულად, სასულიერო პირებმა და მრავალრიცხოვანმა მრევლმა მოაწყო ლოცვით მსვლელობა ამ დღესთან დაკავშირებით შესაბამისად, 2024 წლის 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღე აღნიშნეს ლენტეხშიც. ლენტეხის მუნიციპალიტეტში მრავალრიცხოვანი მსვლელობა გაიმართა.

დილიდან ლენტეხის დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარში წირვა აღევლინა, რომლის შემდგომაც მოქალაქეებმა, სასულიერო პირებთან ერთად, მსვლელობით შემოიარეს ლენტეხის ცენტრალური ქუჩები.

დიდება თავისუფლებას!

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა. მათ შორის გამორჩეული იყო ლენტეხშიც. ჩატარდა სპორტული, კულტურული და შემეცნებითი სახის ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეებმა. ღონისძიებებს ესწრებოდნენ მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი და ლენტეხის რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ბადრი ქარდავა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა ლოკაციებზე გამართულ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ლენტეხის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეები ჩაერთნენ.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღნიშვნა განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის იყო საზეიმო და სასიხარულო, ამიტომაც არ შეუშინდნენ ნისლსა და წვიმას და დილიდან აახმაურეს ქუჩები, სპორტული მოედნები, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზები.

საზეიმო დილა ლენტეხის N1 და N2 საჯარო სკოლების ბაზაზე არსებულ სპორტულ მოედანზე, საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ინიცირებული, ფესტივალის ხასიათის, საპილოტე რეჟიმში განხორციელებული პროექტით -" საქართველოს თავისუფლების თამაშები" დაიწყო.

ღონისძიება საქართველოს ჰიმნით გაიხსნა, მისასალმებელ სიტყვებში გამომსვლელებმა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მუდმივად თავისუფლების მოპოვების, მიღწევების და შენარჩუნებისთვის სახელოვანი ბრძოლის ისტორია გაიხსენეს.

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს თავისუფლების თამაშების" სკოლათშორისი სპორტული ღონისძიების ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარება რესურსცენტრის მეთოდისტის დონარა მუსელიანის დამსახურებაა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ლენტეხის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სამხატვრო სკოლის დირექტორმა, თამილა ლიპარტელიანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამჟამად სკოლას 78 მოსწავლე ჰყავს, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, შეისწავლონ სხვადასხვა სახის მასალაზე მუშაობა, როგორებიცაა: თექა და გობელინი. აქ ასევე ისწავლება ფერწერა, გრაფიკა, ხეზე კვეთა და ხელოვნების ისტორია. სკოლას საკმაოდ ბევრი წარმატება და მიღწევა აქვს. 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, რომელიც კაბადოკიაში ჩატარდა. 2019 წელს იყვნენ აზერბაიჯანში. ხოლო, 2021 წელს - ბულგარეთში, სადაც ბავშვები დაჯილოვდნენ 12 მედლით, აქედან, 2 მონაწილე გახდა პირველი ადგილის მფლობელი, დანარჩენი 10 - მეორე ადგილის. ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მიღებული აქვთ მედლები,სერთიფიკატები და დიპლომები.

თითქმის ყველა სფეროში ვიხილეთ იმ დღეს ლენტეხელი ახალგაზრდების შესაძლებლობები, მათ შორის - ჭადრაკში, სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ქორეოგრაფიაშიც.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გამართულ კონცერტში ლენტეხის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, მუსიკალური სკოლის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

მოამზადა მარიამ ჯამბურიძემ

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

ახალი ეკონომიკური აქტივობებისა და ახალგაზრდობის სტიმულირების მიზნით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილემ ბერდია ჩანქსელიანმა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა და მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძემ დაბაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი - სპორტკომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

სამუშაოების მეორე ეტაპზე კარ-ფანჯრების მონტაჟი, კედლების შელესვა, ეზოს კეთილმოწყობა, შემოღობვა, წყალკანალიზაცია, გარე კანალიზაცია, გათბობა-ვენტილაცია და ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს შ.პ.ს ,,აბსოლუტ-პლუსი'' ასრულებს, რომლის სახელშეკრულებლო ღირებულება 479, 770 ლარია. სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტი მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება.

ლენტეხის რესურსცენტრში 2024 წლის „ლენტეხის ეტალონი გუნდი“ გამოვლინდა

ინტელექტისა და ცოდნის ზეიმში მუნიციპალიტეტის სკოლების მე-6 და მე-7 კლასელებისგან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. „ეტალონი“ გუნდის ტიტულისთვის ერთმანეთს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკოლების 8 გუნდის 32 მოსწავლე ეჯიბრებოდა, ღონისძიებას კი ტრადიციულად, „ეტალონის“ ავტორი და უცვლელი წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა.

კონკურსის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა, მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძემ, ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა ღონისძიების დაწყებამდე, სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ izrune.ge-ში ჩართული გამორჩეულად წარმატებული მოსწავლეებიც.

კონკურსში მუნიციპალიტეტის სკოლების მე-6 და მე-7 კლასელებისგან დაკომპლექტებული 4-4 წევრიანი გუნდები მონაწილეობდნენ. 20 კითხვის შედეგად კი გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ:

2024 წლის „ლენტეხის ეტალონი გუნდის“ წოდება და პირველობა მოიპოვა სასაშის სკოლის გუნდმა 82 ქულით. გუნდს ხელმძღვანელობდა VII კლასელი ნინო ონიანი, ხოლო შემადგენლობაში შედიოდნენ ასევე VII კლასელები ანასტასია ონიანი, ელენე ონიანი და თეკლა ონიანი.

მეორე ადგილზე 80 ქულით გავიდა ლენტეხის N1 საჯარო სკოლის გუნდი VII კლასელი თამარ ქარდავას კაპიტნობით. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: მარიამ მუკბანიანი VII კლასი, ბარბარე ონიანი VI კლასი და თამარ ჯანხოთელი VI კლასი.

მესამე ადგილი კი მოიპოვა ჟახუნდერის საჯარო სკოლის გუნდმა 65 ქულით. გუნდს ხელმძღვანელობდა VII კლასელი ზურაბ დევდარიანი. შემადგენლობაში კი შედიოდნენ: ელენე ონიანი VI კლასი, ნინო მუკბანიანი VI კლასი და სალომე ონიანი VI კლასი.

ადრე წასული პოეტის, ანა ლაშხელი-ონიანის პატივგების დღე ლენტეხში

ანა ლაშხელი ონიანი 1986 წლის 31 მარტს სვანეთში დაიბადა. სოფელ ჟახუნდერში მისი სახლია, მისი ჯიში და გენი.

,,არსად ცა ისეთი მაღალი არაა, როგორც სვანეთში, ლაშხეთში.

ეს არის ჩემი ბავშვობა, ჩემი მშობლები, ნათესავები, მეგობრები, საუკეთესო წლები, პირველი ნაბიჯები, პირველი შეხება კალამთან, ბევრი გათენებული ღამე, ოცნებებით სავსე ჩემი ბაბუას სახლი. იმერეთს რომ გავცდები, სხვანაირი განწყობა მოდის, მინდა, ბევრი ვისუნთქო ჰაერი... „ხარბადა“. - ასეთი სიყვარულით წერდა მწერალი სვანეთში გატარებულ წლებზე.

დღეს ანას თაყვანისმცემლებმა და ადგილობრივებმა პატივი მიაგეს და კიდევ ერთხელ გაიხსენეს უდროოდ წასული მწერლის შემოქმედება. ისაუბრეს მისი მოღვაწეობის შესახებ.

ღონისძიება, რომელსაც ახალგაზრდული სახლის დირექტორი, ლუიზა ხვადაგიანი უძღვებოდა, თბილ და სასიამოვნო გარემოში ჩატარდა.

წაიკითხეს ლექსები, ჩანახატები, ნაწყვეტები მისი შემოქმედებიდან. შესრულდა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები. ერთმანეთს თბილი მოგონებები გაუზიარეს. თითოეული გამომსვლელის მიზანი იყო, მსმენელამდე მიეტანა ანას კეთილი სული, ემოცია, განცდა.

პოეტისა და პროზაიკოსის, ანა ლაშხელი-ონიანის სახელი დროის გასვლასთან ერთად, უფრო დიდი გახდება.

ღონისძიებას ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი, გია ონიანი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი გაზდელიანი, მწერლის ახლობლები, მეგობრები და ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ხელედიდან სკალდამდე დასასრულს უახლოვდება

დასასრულს უახლოვდება სოფელ ხელედიდან სკალდის მიმართულებით ძველი საავტომობილო (სამეურნეო) დანიშნულების გზის აღდგენა-რეაბილიტაციის და სოფელ ხელედში, ადგილ ძუღვარეშის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკალდის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტული თვალსაზრისით. ასევე - იმ მომლოცველებისთვის, რომლებიც ყოველწლიურად სვანურ ტრადიციულ დღესასწაულზე „სკალდობაზე“ სტუმრობენ მონასტერს.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს ,,ელიტ ბაილდერს გრუპი'' ასრულებს, რომლის ღირებულება 301, 718 ლარს შეადგენს.

ძუღვარეშის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს ,,ავტოგზა ლენტეხი 99'', რომლის სახელშკრულებლო ღირებულება 64, 921 ლარია.

ორივე სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე სამუშაოები, მონიტორინგის მიზნით, რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანმა, მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძემ მოინახულეს. უძველეს ძეგლებამდე და ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების მოწყობა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

კომუნიკაციების კომისიამ ცაგერსა და ლენტეხში „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ დაიწყო

კომუნიკაციების კომისიამ ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სამიზნე მუნიციპალიტეტების მერის მოადგილეებთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, მერის წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრები გამართა.

პროგრამის ფარგლებში, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების 25 სამიზნე დასახლებაში ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ ჩატარდება სემინარები, რომელთა ფარგლებშიც, ადგილობრივები სპეციალისტების დახმარებით ინფორმაციის მოძიების, ელ-ფოსტის გამოყენების, გუგლის რუკითა და თარჯიმნით სარგებლობის, ასევე, ადგილმდებარეობის გაზიარების და ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების შესახებ მიიღებენ ინფორმაციას.

შეგახსენებთ, რომ „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ 2022 წლიდან ხორციელდება. პროგრამა წარმატებით დასრულდა ოზურგეთის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ამბროლაურის, ონისა და აბაშის მუნიციპალიტეტში. ამჟამად სემინარები აქტიურად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებში. დღეის მონაცემით, ციფრული წიგნიერების, ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენებისა და სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით სარგებლობის საკითხებში სულ 151 სოფლის 4200-ზე მეტი ბენეფიციარი გადამზადდა.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამა პროექტ Log-in Georgia-ს შემადგენელი ნაწილია, რომელიც ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის მხარდასაჭერად ხორციელდება. Log-in Georgia საქართველოს 500,000-მდე სოფლად მცხოვრებისთვის მაღალხარისხიანი ინტერნეტის მიწოდების შესაძლებლობის შექმნასა და ციფრული სერვისების სასარგებლო გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პროექტი მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება.

რა სურთ ლენტეხელ ახალგაზრდებს

ახალგაზრდა თაობა ქვეყნის განვითარებაში ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათი მოსმენითა და აზრების გათვალისწინებით მყარი საფუძველი ექმნება ქვეყნის სიძლიერეს.სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ ლენტეხელ ახალგაზრდებთან გასაუბრება, მათი შეხედულებების მოსმენა, რა სურვილები აქვთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან და როგორ წარმოუდგენიათ ლენტეხის განვითარება.

ამჯერად ლენტეხის N1 საჯარო სკოლის რამდენიმე მოსწავლეს გავესაუბრეთ: თეკლა ონიანი (17 წლის), ანანო ეურასბედიანი (17 წლის), სალომე გასვიანი (17 წლის), ნინი ეურასბედიანი (16 წლის),თამარ ბენდელიანი (16 წლის).

- რადგან ლენტეხში სპორტი განსაკუთრებულად უყვართ და წარმატებებიც დიდი აქვთ ამ კუთხის შვილებს არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, საუბარიც სპორტით დავიწყეთ. მაინც რომელი სახეობის სპორტის განვითარებას ისურვებდნენ ლენტეხში?

- ვისურვებდით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ძიუდოს განვითარებას. თითოეულ სახეობაში გვყავს ნიჭიერი თანატოლები და ვისურვებდით გვქონდეს უკეთესი პირობები ნიჭის რეალიზებისთვის.

ლენტეხში ყველაზე დიდი პოპულარობით გამოირჩევა ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა ძიუდო, ამიტომ, აუცილებელია, რომ ყველანაირი პირობა იყოს იმისათვის, რომ მსურველებმა ადგილზე შეძლონ სრულყოფილად შესწავლა და ამისთვის სხვა ქალაქში წასვლა არ მოუწიოთ. ყველამ ვიცით,რომ ლენტეხლები ჭიდაობაში ყოველთვის გამოირჩეოდნენ. სამწუხაროდ, ნელ-ნელა იკლებს ინტერესი და აქტივობა სპორტის ამ სახეობის მიმართ, რადგან არ აქვთ შესაფერისი რესურსი, დარბაზი და აღჭურვილობა.

საკმაოდ კარგი ადგილია სპორტკომპლექსი, რომელიც საჭიროებს რესტავრაციას. იქ არის აუზი, სპორტ-დარბაზისთვის საჭირო აღჭურვილობა, მაგრამ გამოკეტილია და არ ფუნქციონირებს.

ფრენბურთის თამაშის მსურველთათვის არანაირი პირობა არ არსებობს, რომ თავიანთი ნიჭი ამ განხრითაც წარმოაჩინონ. მხოლოდ სპორტის გაკვეთილზეა შესაძლებელი ფრენბურთის თამაში.

- გარდა სპორტისა, რისი უკმარისობის განცდა გაქვთ, რა გინდათ, რომ თქვენს თაობას გქონდეთ ლენტეხში?

- ვფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკის გამოცოცხლება უმნიშვნელოვანესია. ხანდახან მავიწყდება, რომ ლენტეხში ბიბლიოთეკა გვაქვს, სიმბოლურად არის შენობა. ძალიან კარგი იქნებოდა მყუდრო და მშვიდი ადგილი, სადაც შევძლებდით კითხვას და დროის საინტერესოდ გატარებას.

კარგი იქნებოდა, მწვანე ბაღის რესტავრაცია რომ ჩატარდეს. ის გამოირჩევა თავისი სიმწვანით, ბუნებით, ჰაერით. წლების წინ სხვადასხვა სახის ღონისძიებებიც იმართებოდა, იყო თავშეყრის ერთ-ერთი ადგილიც.

ჩვენი შემეცნებითი ცოდნის გაღრმავებაში დაგვეხმარებოდა კინოსაღამოების მოწყობა,

კარგი იქნებოდა, პატარა კაფეები რომ გაიხსნას.

- თქვენი აზრით, რა არის საჭირო ლენტეხის პოპულარიზაციისთვის?

- პირველი, რაც გვახსენდება არის მუაში, გამორჩეული თავისი ბუნებით და ადგილმდებარეობით. აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. მშობლების გადმოცემით ვიცით, რომ ერთ-ერთი გამორჩეული კურორტი იყო საქართველოს მასშტაბით. ვისურვებდით, დაუბრუნდეს ძველი ფუნქცია და იერსახე.

- კარგი იქნებოდა, ხშირად ტარდებოდეს გაცნობითი სახის კაფე-საღამოები, სადაც შესაძლებელი იქნება, უკეთ გავიცნოთ გამოჩენილი ადამიანების შემოქმედება. საამაყოა, რომ სვანეს გვყავს ბევრი წარმატებული ადამიანი სხვადასხვა სფეროში, თუმცა ბევრმა მათი სახელიც კი არ იცის და მსგავსი საღამოები საზოგადოებას დაეხმარება მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.

- თქვენ რომ იყოთ ადგილობრივ ხელისუფლებაში, პირველ რიგში რას გააკეთებდით?

- პირველ რიგში, მოვაწესრიგებდით გზებს.

საჭიროა, მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფარი. საფრთხეს წარმოადგენს ქუჩაში აუცრელი ძაღლების თავისუფლად გადაადგილება. საზოგადოების ნაწილს აქვს მათ მიმართ შიში.

- რაიონში და სოფლებში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდების გადინება. თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი და როგორ უნდა მოგვარდეს?

- აქ ახალგაზრდებს არ აქვთ სრულყოფილი შესაძლებლობა, რომ თავიანთ საქმიანობაში განვითარდნენ და კვალიფიკაცია აიმაღლონ. თუმცა მე ვიცი,რომ ლენტეხში დავბრუნდები და ჩემს ცოდნას აქაურობის განვითარებას მოვახმარ. ჩვენ, ადგილობრივები თუ არ შევცვლით, ჩვენს ნაცვლად არავინ არაფერს იზამს.

ლენტეხს აქვს დიდი პერსპექტივა, რომ სოფლის მეურნება უფრო განვითარდეს.თუმცა, პრობლემას მუშა-ხელის ნაკლებობა წარმოადგენს. ამის შედეგად გაჩნდება სამუშაო ადგილები. უნდა ვეცადოთ,რომ აქედანვე მივეჩვიოთ შრომას და ერთმანეთს მივცეთ სტიმული. ფიზიკური შრომა არ უნდა ეთაკილებოდეს არავის.

ესაუბრა მარიამ ჯამბურიძე

ბოლო ზარი და ლენტეხელი ახალგაზრდების განცდები

ბოლო ზარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ამავდროულად ამაღელვებელი დღეა მოსწავლეთათვის. ეს ის დღეა, როდესაც ყველა მეთორმეტე კლასელი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას იწყებს და რაღაც ახლის მოლოდინშია. მასწავლებლები, მოსწავლეები და ყველა ახლობელი ადამიანი სიამაყით, ბედნიერებითა და სევდით არიან გაჟღენთილნი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში მეთორმეტეკლასელებისთვის „ბოლო ზარი“ საზეიმოდ დაირეკა . კურსდამთავრებულებს სკოლის დასრულება ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- ზვიად ლობჟანიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე-გიორგი გაზდელიანმა, დირექციამ, პედაგოგებმა, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ბადრი ქარდავამ დიდი სიყვარულით მიულოცეს და ცხოვრების ახალ ეტაპზე წარმატებები უსურვეს.

ჩვენ თავად მეთორმეტეკლასელთა უშუალო განცდებით დავინტერესდით და რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა განცდები დაეუფლათ სკოლის დამთავრების შემდეგ?

ანანო ქურასბედნიანი - ერთი წელია, რაც მეორე სმენა ვართ, სხვა სკოლაში მოგვიწია დროებით გადასვლა და სკოლის დამთავრებაც. გული მწყდებოდა,რადგან ჩემი ძველი სკოლა მენატრებოდა.ჩემი კლასის კედლები,მერხი,სადაც ვიჯექი,თითოეული წარწერა,ძალიან ძვირფასია ჩემთვის. ცუდია ,რომ ამ მნიშვნელოვანი დღის გატარება სხვა სკოლაში მომიწია. რთულია იმის გაანალიზება, რომ განშორება გიწევს იმ ადგილთან, სადაც ამდენი წელი გაატარე და ამდენი მოგონება გაკავშირებს, რადგან ეს დღე ჩემს სკოლაში მქონდა წარმოდგენილი და ვერც ვიფიქრებდი, რომ სხვანაირად მოხდებოდა. ძალიან კარგი კლასელები მყავდა.არცერთთან არ მქონია კონფლიქტი. არანაირ ბულინგს არ ჰქონია ადგილი. მეგობრულები ვიყავით.მეთერთმეტე კლასელები ყველანაირად ეცადნენ,რომ კარგი ღონისძიება გამოსულიყო და ასეც მოხდა.სევდანარევი სიხარული გვქონდა.

თეკლა ონიანი - ჩემთვისაც სევდანარევი სიხარული იყო სკოლის დამთავრება. ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას თან სდევს სიხარული,თან ამავდროულად დიდი სევდაც. ჩვენ ადრიდანვე დაგვეწყო სკოლიდან წასვლის სევდა და მართლა არ მესმის იმ ადამიანების,რომლებიც ამბობენ,რომ - ტყუილია სკოლა არ მოგენატრებათ.

იმდენად ახლო ადამიანები არიან ჩემთვის ჩემი კლასელები და მეგობრები, რომ ზუსტად ვიცი ქალაქში შეძენილი მეგობრები,აქაურ მეგობრებს ვერასდროს შემიცვლიან და ასეთი წრფელი ურთიერთობა ვერასდროს მექნება,როგორიც მათთან მაქვს. მადლობას ვუხდი დედაჩემს,რადგან მისი დამსახურებაა,რომ უფრო ახლო ურთიერთობა მაქვს ჩემს ახლანდელ კლასელებთან.

ნინო ეურასბედიანი

თეკლა ონიანი

სავლომე გასვიანი

სალომე გასვიანი - ახლაც ვერ ვიაზრებ,რომ სკოლა დავამთავრე. ძალიან უცებ გავიდა ეს ბოლო ერთი წელი.თითქოს გუშინ იყო აბიტურიენტობის დაწყების დღე.უკვე მენატრება სკოლა.ბოლო ზარზე რომ გაუშვეს ჩვენი ვიდეოკოლაჟი, ძლივს შევიკავე თავი,რომ არ მეტირა.

რა შეგმატათ სკოლაში გატარებულმა წლებმა?

თეკლა: პირველ რიგში ურთიერთობები.ყველა სახის ადამიანთან შეხვედრის შესაძლებლობა. თითოეული ადამიანი ცხოვრებისეული გაკვეთილივით არის.მე მეგობრობა,სიყვარული და ყველაფერი კარგი ჩემი კლასელებისა და სკოლისგან ვისწავლე.ეს ურთიერთობა სკოლის გარეთაც გრძელდება.

ანანო: კლასელები ყველანაირად ვცდილობდით ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ჩვენი ცოდნა და დავხმარებოდით ერთმანეთს.ყოველგვარი დამადლებისა და დაზარების გარეშე.შური და ბოღმა ჩვენში არასდროს ყოფილა.ჯიბრიც არასდროს გვქონია.შესაძლოა,ზოგს აქვს იმის კომპლექსი,რომ გაკვეთილს თუ ვერ მოყვება კარგად, კლასელები დასცინებენ,ჩვენთან მსგავსი შემთხვევა არასოდეს ყოფილა,პირიქით, ძალიან კარგად ვგრძნობდით თავს.

სალომე:სკოლა წარმოუდგენელია შატალოს გარეშე,რასაც ჩვენი მეთორმეტე კლასელებიც ძალიან ხალისიანდ იხსენებენ. ასევე მათ შორის იყო ისეთი მოსწავლე,რომელსაც რაღაც მიზეზის გამო არ უნდოდა წასვლა.კლასელებმა გაამხნევეს და შიშიც დაამლევინეს. დაასახელეს ადგილიც სადაც იყვნენ. მხიარულად გაიხსენეს მშობლების სატელოფონო ზარიც,რომლებიც დაბრუნებას სთოვდნენ. ამის მიუხედავად დღე არ გაიფუჭეს და ბოლომდე მხიარულად გაატარეს. ბევრი კარგი მმოგონება დაუტოვა იმ დღემ.

სად ხედავთ თქვენს თავს 10 წილს შემდეგ?

თეკლა: მე გეგმაში მაქვს, მივიღო ხარისხიანი განათლება. მსურს საზღვარგარეთაც გავიღრმავო ჩემი ცოდნა, მაგალითად გერმანიაში, თუმცა იქ დარჩენას არ ვფიქრობ, რადგან მინდა, რომ საბოლოოდ დავუბრუნდე ჩემს ფესვებს, ჩემს რაიონს, კონკრეტულად სოფელ ლაშხეთს. ჩემი სამომავლო ოჯახური ცხოვრებაც იქ წარმომიდგენია მყუდრო და ლამაზ გარემოში, ბევრი შვილით და შინაური ცხოველით.

ანანო: პირველ რიგში, მინდა, რომ კარიერულად განვითარდე, სრულფასოვანი ცოდნა მივიღო ჩემს პროფესიაში. ვფიქრობ გაცვლითი პროგრამით გერმანიაში წასვლას. ბევრი ვიცი, რომ უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდგომ სამშობლოში დაბრუნების სურვილი ნაკლებად აქვთ, თუმცა მე სხვა ქვეყანაში ცხოვრებას არც კი განვიხილავ, რადგან ძალიან მიყვარს და ვაფასებ ჩემს ქვეყანას. ყველანაირად ვეცდები მივიღო ისეთი განათლება, რომ ჩემს ქვეყანას და ლენტეხს მოვახმარო. წინასწარ რამის განსაზრვრა რთულია თუ სად ვიქნები, თუმცა მთავარია, მაქვს ძალიან დიდი სურვილი, რომ მეც დავბრუნდე ჩემს რაიონს და წვლილი შევიტანო მის განვითარებასა და წინსვლაში.

სალომე: ერთადერთი, რაც ვიცი, არის ის,რომ საზღვარგარეთ დარჩენა და იქ ცხოვრება არ მინდა,თუმცა,თუ მექნება საშუალება,-ცოდნის გაღრმავების მიზნით სიამოვნებით წავალ.ზუსტი პასუხის გაცემა მიჭირს.საბოლოოდ,ვიტყვი,რომ იმის მიხედვით ვიმოქმედებ,როგორც ჩემი ცხოვრება წარიმართება.

ესაუბრა მარიამ ჯამბურიძე

პიკანტური ისტორიები

ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის ახალი რუბრიკა გვაქვს - „პიკანტური ისტორიები". დარწმუნებული ვართ, მოგეწონებათ და ყოველ ნომერს გულისფანცქალით დაელოდებით.

ნაშვილები

ირაკლი აბულაძე

წინა ნომრიდან

ჟორა (მამამთილი): ნაშვილები ხარო, ვინცხა პატრონსაკლავს რო მიუხლია ჩემი რძლიზა, მას მერე ჭკუაზე აღარ იყო თამრიკო.

სამოც წლამდე კაცი ვარ, ამისთანას არაფერს მოვსწრებივარ:

მთელი დღეები არც ჭამდა, არც სვამდა, არც ქმარს იკარებდა, არც შვილებს. მოკლედ, არავინ არ ვუნდოდით, პირჩაღმა ეგდო ლოგინზე.

დევიხოცეთ ხალხი მაგის საცოდავობით. ჩემმა ოჯახობამ ელაპარიკა: გოგო, მარტო შენზე ხვარაა ამნაირი ამბავი, მასეთები ხშირად ხდება, მარა, მოძებნიან მერე თავის დედას, მამას, გამზრდელთანაც კარგათ არიან და იმგენთანაც. ქე ცხოვრობენ ჩვეულებრივად, თავს კარ იკლავენ შენსავით, მასე არ შეიძლება, შვილოო.

მოუყვა და მოუყვა ათასნაირი ამბავი—ზოგი მართალი, ზოგი—ტყვილი, მარა, ესმის კედელს რამე? იწვა დამუნჯე-ბული, გიჟი გეგონებოდა, იმისთანა სა-ხით.

მედიკომ, ჩემმა ოჯახობამ, გვერდითა მეზობელსაც არ გააგებინა სინამდვილე, ყველას დოუმალეთ. არ გვინდოდა ხმაურის ატეხვა და ამ გოგოს მთლად გადარევა. ვიფიქრეთ, რაცხანაირად, გედეიტანს და მერე—ან ასე იქნება, ან—ისე-თქვა. ყველას მობოდიშებით ვეუბნებოდით, თამრიკოს ბატონები უბრძანდება მძიმე ფორმით, სიბნელეში წევს და არ უნდა არავისთან ლაპარაკი, ძალიან ღიზიანდება-თქვა.

ე ბოვშები ხო თლად დამეზაფრენ. გოგოები ცოტა ჭკუაზე კი მევიდნენ, თერთმეტ-თერთმეტი წლის არიან და უკვე ესმით რაღაცა, მარა, ბიჭი სულ ტირის, დედიკოსთან მინდაო. არც „ჟუვაჩკამ" გააჩერა, არც ტაქსით „კატაობამ".

ტელეფონი გავთიშეთ. ერთი-ორჯერ ქე იკადრა ავთომ ტყუილი, მაკა სახლში არააო, მარა, მეტი ვეღარ შეძლო და ამჯობინა, სულ არ ეპასუხა.

მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ასე, სამი დღის შემდეგ, ჩემი მზახალი მოვარდა, თალიკო. „სემიჩკის" პარკიც, ჯორკოც ქე მიეტიებია მაღაზიის გვერდით და გამოქცეულიყო. რაცხა, წუხელი ცუდი სიზმარი ვნახე, ვერ მევისვენე და ხო მშვიდობაა ოჯახშიო, კარებიდან მოგვაძახა.

მე ორი ლუკმის საჭმელად ვიყავი შემოსული, იმ დღეს კლიენტები მაინც სულ არ მყავდა ტაქსზე, ხოდა, „ქუხნაში" ვიჯექი. პირი ლუკმით მქონდა გამოტენილი და მზახალს უცებ ვერ ვუპასუხე.

ამ დროს მედიკომ მიაძახა ტირილით:

—მოი, მოი, თალიკოო.

ე კოჭლი ქალი ისე გამეიქცა, ჩიტივით! ყავისფერ ყვავილებიანი „კასინკა" ეხურა, რაცხა,—ძირს დოუვარდა, არც გოუგია. შემოვარდა გიჟივით და:

—ბოვშებს ხვარაფელი უჭირთ? თამრიკო სადაა? რა დაგემართათ, კაცო, რას დამუნჯებულხართ?

მედიკომ სკამზე დასვა და ყურში ისე ჩასძახა, ვითამც თალიკიი ყრუ ყოფილიყო:

—იმას ამოუწყდა ოჯახი, იმის ბარობაზე არ გეიარა არაფელმა, ვინცხამ მე რძალი გადამირია.

საწყალი თალიკო დაფეთებული უყურებდა მედიკოს, მერე უკბილო პირი ააცმაცუნა და იმნაირი ჩამწყდარი ხმით გვკითხა:

—რავა... ავთოი დანარება სხვა ქალთან?

კიღმე გამეცინა, მარა, გაცინების მომენტი იყო ახლა?გევიწმინდე ხელები ტილოზე და მზახალს გვერდით მივუჯ ექი.

—შენ უთხარი, ჟორა, შენ! — მითხრა მედიკომ,—ხო, კაცი ხარ და უფრო ოუხსნი ამ საწყალს.

—საწყალსო? რავა... დევიღუპე?.. აღარ მყავს ჩემი თამრიკო?—გადეირია ქალი.

—რავა არა გყავს, ქალო, დაწყნარდი, ეგერაა, ე, თავის საძინებელში.

—მაჩვენეთ, აპა! ტყუილს მეუბნებით თქვენ, რაცხა ამბავია ჩემ თავზე ნამდვილად.

—არა, ბატონო თალიკო, ტყუილს რავა გაკადრებთ.

—აპა, მაჩვენეთ ჩემი გოგო!

თალიკო წამოხტა და საძინებლისკენ გაქანდა, მარა, მოვასწარი, მკლავზე ხელი ვტაცე და ძალისძალად დავსვი თავის სკამზე.

—ბატონო თალიკო, იქ შესვლა არ შეიძლება... ჯობია, ცოტა ხანს თუ არ ნახავ შენ შვილს. ასე ჯობია, დამიჯერე!

—არ ვნახოო? თქვენ ხვარ გაგიჟებულხართ, შვილს მიმალავთ, თუ?.. რაშია, კაცო, საქმე!

—რაშია და... გაჟეჟილს გატეხილი ჯობიაო, ნათქვამია. გეტყვი, რავარცხაა საქმის მდგომარეობა... შენ შვილს, ბატონო, ვიღაცამ უთხრა, ნაშვილები ხარო.

ეს ქე ვთქვი და ადგილსაც დავაკვტი, იმფერ უხერხულად ვიგრძენი თავი. იმის შიშიც ქე მქონდა,—სიმართლე რო გითხრათ,—მზახალმა თავში არაფელი მესროლოს-თქვა.

მარა, გაგიგონია?

ჩამოუვარდა, მოწყვეტილივით, მკლავები და ისე საწყლად გადაატრიალა თვალები, გული დამეწვა:

—დავღუპულვარ, აბა... იცის, ესე იგი, თამრიკომ...

ამეიღო საცხაიდან თავისი დაჭმუჭნული ცხვირსახოცი, ეიფარა სახეზე და იტირა, მარა, რა იტირა.

დატრიალდა მედიკო, ახლა ამას ეფერა და ამშვიდა, რა არ უთხრა, გადოუვლის ყველაფერი თამრიკოს, აცალე პატარა, სადმე გევიყვანთ, — სულაც, ჩემ მულთან წავალთ ერთი-ორი დღით თერჯოლაში, გულს გადააყოლებს, გადახარჩავს და მერე ყველაფერი ძველებურად იქნებაო. ხან გაცხელებული კაკაო გამოუტანა მზახალს, ხან ტელევიზორი ჩაურთო—ნახე, შაშიაშვილი ბდღვიროს ადენს, აგერ, ვიღაცეებსო, ხან ბოვშებს დოუძახა და სტუდიაში ნასწავლი სიმღერები ამღერა. მოკლედ, მთელი სამი საათი ასე გავწვალდით. ცოტას რომ დამშვიდდებოდა, ისევ ოუვარდებოდა ტირილი.

ერთი სული გვქონდა, თამრიკოს ნამდვილ მშობლებზე გაგვეგო რამე, მარა, რანაირად კითხავდი?

ალბათ, მომავლის საქმეა-თქვა, გულში რო გადავწყვიტე, სწორედ მაშინ თქვა თალიკომ:

— ვისგან ევიყვანე თამრიკო, იცით?

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ბატონო თალიკო-თქვა,—ერთად მივაძახეთ მე და მედიკომ.

ხოდა, მოხსნა მზახალმა გუდას პირი და იმისთანა ამბავი მოგვიყვა, მე და ჩემი ოჯახობა კაიხანს ვიჯექით დარეტიანებულები.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

კროსვორდი



თარაზულად: 3. ფილმ „შერეკილების" პერსონაჟი. 5. ეგვიპტის დედაქალაქი. 6. შეუწვავი ან მოუხარშავი ხორცი. 8. რისთვის? რატომ? ... 9. ... პრესლი. 11. ქალაქი ჩინეთში.

შვეულად: 1. მდინარე შუამდინარეთში. 2. დიდი, მახრჩობელა გველის სახეობა. 3. კვეხნა, ბაქიობა. 4. მაულია..., მაროკოს სულთანი. 7. მთათა სისტემა აზიაში. 10. შეძახილი ცხენისადმი.

კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ომიკრონ. 5. ნოკია; 6. სპა. 8. ლოა. 9. მიტუა. 11. ინგლისი.

შვეულად: 1. პიპინ. 2. ურო. 3. ობოლონი. 4. ნეპტუნი. 7. მიდია. 10. უგო.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

პირველად ონში - 15 ივნისს ბავშვთა სარაგბო ფესტივალი გაიმართება

საქართველოს მთავრობის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის პარტნიორობით, ონის რაიონში 15 ივნისს 2013-2014 წლებში დაბადებულ ბავშვთა ფესტივალი გაიმართება.

ტურნირის მასპინძელია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ერთი წლის წინ დაარსებული სარაგბო კლუბი 'ამარანტები'. გუნდი ბიზნესმენების - დიმიტრი აბდუშელიშვილის, მამუკა მურჯიკნელის, ალექსი ნიკოლაიშვილის და აკაკი დავითულიანის თაოსნობით, ლეჩხუმის, ლენტეხის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებისა და რაგბის კავშირის მხარდაჭერით დაარსდა.

აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტში სარაგბო ბავშვთა ფესტივალი აქამდე არ ჩატარებულა. მისი მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონში რაგბის პოპულარიზაცია.

ფესტივალში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას და მათი უმრავლესობა - 14, დასავლეთ საქართველოს წარმოადგენს. ესენი არიან: ცაგერის 'ცეკური', ლენტეხის 'დათვები', ონი-ამბროლაურის 'რაჭველები', ჩაქვის 'ჩაქვი', ქობულეთის 'პონტო', ბათუმის 'ბათუმი', სამტრედიის 'ფენიქსი', წყალტუბოს 'დინოზავრი', ქუთაისის 'აია', ოზურგეთის 'არწივები', ჭიათურის 'მათე', საჩხერის 'ჯრუჭი', სენაკის 'ჯიხა' და ფოთის 'კოლხი რაინდები'.

ამ ეტაპზე ორი გუნდია მიწვეული კახეთის რეგიონიდან - პატარძეულის 'ვეფხვები' და სიღნაღის 'ქიზიყი'. თამაშები ონის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ მოედანზე 13 საათზე დაიწყება და 18 საათამდე გაგრძელდება.

ორგანიზატორების სურვილია, რომ სამომავლოდ ფესტივალი უფრო მასშტაბური გახდეს და მასში თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, უცხოური გუნდებიც ჩაერთოს.

ლენტეხი news
ქიმერიონი qimerioni
მთავარი რედაქტორი: გულიზა (ნატო) გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №16/12. • 599 10 77 94 • nato2727@gmail.com
გამომცემელი: შპს „ქიმერიონი"; კომპანიამ ტენდერში გამარჯვების გზით მოიპოვა ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ყოველთვიური საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვების უფლება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება). ხელშეკრულება №21 (12.02.2024).